სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ DCFTA-ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი



საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№536 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის" დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ფ" ქვეპუნქტის შესაბამისად და მე-6 მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი".

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის #536 განკარგულებით დამტკიცდა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი".

დოკუმენტის შემუშავების პროცესში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამართა საჯარო განხილვები საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ათეული პარლამენტის წევრი ესწრებოდა. განხილვები გაიმართა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ორმოცდამეთხუთმეტე სხდომაზე. აგრეთვე, ჩატარდა შეხვედრები მსხვილ შემსყიდველ ორგანიზაციებთან და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. სამოქმედო გეგმის საბოლოო რედაქცია წარედგინა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი" მრავალთვიანი ერთობლივი ინტენსიური მუშაობის შედეგია, როგორც სააგენტოს ხელმძღვანელობისა და ექსპერტების, ასევე საჯარო შესყიდვების სფეროში უაღრესად ავტორიტეტული ევროპელი ექსპერტების ჩართულობით.

დოკუმენტი UNDP-ს, SIDA-ს და SIGMA (OECD & EU) - ს აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა და გაიარა მათი ექსპერტიზა.

გზამკვლევი ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების აღსრულებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც 2022 წლამდე საჯარო შესყიდვების რეფორმების განვითარებას განაპირობებს.